დამტკცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 23 ივლისის N224 ბრძანებით

შპს იუჯი სკოლა

მოსწავლის, სკოლის თანამშრომლის, მშობლის/

კანონიერი წარმომადგენლის საჩივრის განხილვის წესი

მუხლი 1. გასაჩივრების უფლება

მოსწავლეს, მშობელსა/კანონიერ წარმომადგენელს და სკოლის თანამშრომელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართონ სკოლას საჩივრით.

მუხლი 2. საჩივრის სუბიექტი და გასაჩივრების ვადა

საჩივრის წარდგენის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს, რომლის კანონიერ ინტერესზე გავლენას ახდენს სკოლის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი ან სხვა ქმედება. საჩივრის წარდგენა უნდა მოხდეს სადავო ქმედების განხორციელებიდან ან ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 30 დღის ვადაში. გაშვებული ვადა უნდა აღდგეს, თუ ოცდაათ დღიანი ვადის გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, სკოლის მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით. საჩივრის განხილვის ვადა განისაზღვრება 10 სამუშაო დღით, თუ საჩივრის განხილვის ვადა მოითხოვს დროის დიდ პერიოდს, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით ერთი თვის ვადით;

მუხლი 3. საჩივრის წარდგენა

1. საჩივარო უნდა დაიწეროს და წარედგინოს სკოლის დირექტორს ან დამფუძნებელთა/პარტნიორთა კრებას.
2. საჩივარი შედგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს:
   - ხელმძღვანელი პირის ან კოლეგიური ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
   - განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს, ტელეფონის ნომერს
   - მოთხოვნას;
   - გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მის მოთხოვნას;
   - საჩივრის წარდგენის თარიღსა და ხელმოწერას;
   - საჩივარზე დართული დოკუმენტების ჩამონათვალს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. საჩივართან დაკავშირებით სკოლის დირქტორს, პარტნიორთა/დამფუძნებელთა კრებას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
   - საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
   - საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
   - საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.
4. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ არაუგვიანეს ორი დღისა უნდა ეცნობოს ორივე მხარეს.:

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებული და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.
2. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებები შეტანა მტკიცდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.